



სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
კრედიტსერვისი +”

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით  
დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი  
აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....	10
1. კომპანია და მისი საქმიანობა .....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა .....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა.....	24
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	26
5. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	26
6. ძირითადი საშუალებები.....	29
7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები .....	30
8. არამატერიალური აქტივები .....	31
9. სხვა აქტივები .....	31
10. ნასესხები საშუალებები.....	32
11. სხვა ვალდებულებები .....	34
12. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები .....	35
13. სხვა არასაოპერაციო მოგება (ნეტო).....	35
14. მოგების გადასახადი.....	35
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	37
16. ფინანსური რისკების მართვა .....	37
17. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	54
18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება .....	56
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით .....	56
20. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	57
21. სააქციო კაპიტალი .....	58
22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები .....	59
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები .....	62

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

---

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +”-ის დამფუძნებლებს

#### მოსაზრება

ჩავატარეთ სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +”-ის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### მნიშვნელოვანი გარემოებები - ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ნორმატივის შესაბამისობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 16.3.1. შენიშვნაზე შესაბამისობა ეროვნული ბანკის რეგულაციის მოთხოვნებთან, სადაც აღწერილია ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ერთ-ერთ ნორმატივთან შესაბამისობისა და მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ კომპანიისათვის მიცემულ ვადასთან დაკავშირებული საკითხი. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

#### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც

დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.


ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)  
მმართველი პარტნიორი  
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით  
2021 წლის 14 ივნისი  
თბილისი, საქართველო



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**


	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	5,597	3,490
კლიენტებზე გაცემული სესხები	5	25,746	20,245
ძირითადი საშუალებები	6	72	94
აქტივები გამოყენების უფლებით	7	4,419	6,392
არამატერიალური აქტივები	8	220	379
სხვა აქტივები	9	242	219
<b>სულ აქტივები</b>		<b>36,296</b>	<b>30,819</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ნასესხები საშუალებები	10	19,006	14,485
საიჯარო ვალდებულებები	7	5,118	6,800
საგადასახადო ვალდებულებები		175	108
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	14	66	35
სხვა ვალდებულებები	11	2,285	2,003
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>26,650</b>	<b>23,431</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი/სააქციო კაპიტალი	21	10,530	9,483
საემისიო კაპიტალი	21	2,945	1,898
დაუფარავი ზარალი		(3,829)	(3,993)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>9,646</b>	<b>7,388</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>		<b>36,296</b>	<b>30,819</b>

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 14 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არომიძე





სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


**სრული შემოსავლის ანგარიშგება**


	შენიშვნა	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		8,583	7,339
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		27	24
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>8,610</b>	<b>7,363</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ნასესხები სახსრები		(2,295)	(1,680)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე		(675)	(755)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>		<b>(2,970)</b>	<b>(2,435)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>			
სესხების გაუფასურების რეზერვი		994	559
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ</b>		<b>6,634</b>	<b>5,487</b>
<b>არასაპროცენტო შემოსავლები</b>			
საკომისიო შემოსავლები		7,845	8,792
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		991	1,165
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(374)	(253)
სხვა არასაოპერაციო მოგება (ნეტო)	13	96	38
<b>სულ არასაპროცენტო შემოსავლები</b>		<b>8,558</b>	<b>9,742</b>
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>			
საკომისიო ხარჯი		(27)	(17)
თანამშრომლების ანაზღაურება		(8,291)	(8,504)
იჯარა		(418)	(304)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,295)	(1,487)
ცვეთა, ამორტიზაცია	6, 8	(194)	(103)
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა	7	(1,940)	(1,889)
სხვა მოგება/(ზარალი)		(45)	382
<b>სულ არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>(12,210)</b>	<b>(11,922)</b>
<b>საანგარიშო წლის მოგება მოგების გადასახადის დაბეგრამდე</b>		<b>2,982</b>	<b>3,307</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(526)	(552)
<b>საანგარიშო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>2,456</b>	<b>2,755</b>

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 14 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არაშვილი





სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**


	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მოგება დაბეგრამდე	2,982	3,307
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთასა და ამორტიზაციაში	194	103
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთაში	1,940	1,889
საპროცენტო შემოსავალში	(8,610)	(7,363)
საპროცენტო ხარჯში	2,970	2,435
ანარიცხებში	-	(470)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგებაში	7	14
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილ ზარალში	374	253
	<b>(143)</b>	<b>168</b>
<i>ცვლილებები:</i>		
კლება/(მატება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(5,501)	(402)
კლება/(მატება) სხვა აქტივებში	(23)	(46)
მატება/(კლება) სხვა ვალდებულებებში	(93)	1,136
<b>(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>(5,760)</b>	<b>856</b>
მიღებული პროცენტი	8,514	7,502
გადახდილი პროცენტი	(2,918)	(2,420)
გადახდილი მოგების გადასახადი	(440)	(1,459)
<b>(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>(604)</b>	<b>4,479</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(18)	(73)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(253)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	11
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</b>	<b>(15)</b>	<b>(315)</b>
<b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
დამფუძნებლების/აქციონერების მიერ განხორციელებული შენაშენატანი კაპიტალში	2,094	3,736
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან	26,973	16,836
სესხებისა და კრედიტების გადახდა	(22,625)	(20,157)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,892)	(1,660)
გადახდილი დივიდენდები	(2,183)	(1,417)
<b>(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) / ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>2,367</b>	<b>(2,662)</b>
<b>წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>	<b>1,748</b>	<b>1,502</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	359	(421)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>3,490</b>	<b>2,409</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>5,597</b>	<b>3,490</b>

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 14 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე





სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო/სა აქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	7,645	-	(5,231)	2,414
კაპიტალის შევსება	1,838	1,898	-	3,736
2019 წლის სრული შემოსავალი	-	-	2,755	2,755
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(1,517)	(1,517)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	9,483	1,898	(3,993)	7,388
კაპიტალის შევსება	1,047	1,047	-	2,094
2020 წლის სრული შემოსავალი	-	-	2,456	2,456
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(2,292)	(2,292)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	10,530	2,945	(3,829)	9,646

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ  
 იქნა 2021 წლის 14 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არიშიძე





**ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**1. კომპანია და მისი საქმიანობა**

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“ (შემდგომში, „კომპანია“) დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით 1999 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 202950226. კომპანიის იურიდიული მისამართია: პეკინის ქუჩა #33 ა, თბილისი, საქართველო. 2008 წლის 6 თებერვალს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სეზ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. კომპანია 2019 თებერვალში გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოდრავი ქონებით (ძირითადად, მვირფასი ლითონებითა და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, შესაბამისად, მას არ ჰყავს დედა კომპანია. ქვემოთ მოცემულია კომპანიის მაკონტროლებელ პირთა ჯგუფი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის:

გვარი, სახელი	ჩვეულებრივ/ზმის უფლების მქონე აქციების სახის წილის ოდენობა 31.12.2020	ჩვეულებრივ/ზმის უფლების მქონე აქციების სახის წილის ოდენობა 31.12.2019
კანდელაკი გურამი (01026011514)	32.68%	32.68%
სიდამონიძე ქეთევანი (01006014310)	26.19%	26.19%
კანდელაკი თამარი (01026011515)	16.96%	16.96%
კანდელაკი ნაზიკო (01024020434)	7.98%	7.98%
მამადაშვილი გიორგი (01013002170)	4.99%	4.99%

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა**

**2.1 მომზადების საფუძველი.**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

**2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.**

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

**შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში (გაცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** გადახედული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, სახელმძღვანელოს ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშგებაზე; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელოს - კერძოდ ვალდებულების განსაზღვრება და განმარტებები მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა გონივრული, ფრთხილი ხელმძღვანელობის ფუნქციები და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

**ბიზნესის განმარტება – შესწორებები ფასს 3-ში (გაცემული 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეძენებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).**

შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსების შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს

სტრუქტურას იმის შესაფასებლად როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის დამწევი კომპანიებისთვის, რომლებიც არ გამოიმუშავენ შედეგებს. ორგანიზებული მუშაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნესად კლასიფიკაციის წინაპირობად, შედეგების არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „რესურსი“ განსაზღვრება შემოიფარგლება კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებებით და საქონლით, საინვესტიციო შემოსავლით და სხვა შემოსავლით და გამორიცხავს შემოსავლებს დაბალი ხარჯების ფორმით და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების შეცვლა ან შექმნილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შექმნილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად ყველა შექმნილი მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფი).

**არსებითის განმარტება – ბასს 1-ის და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემული 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ).** შესწორებები განსაზღვრავს არსებითის განმარტებას და მისი გამოყენების წესს, განმარტებით სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც აქამდე წარმოდგენილია ფასს-ში. გარდა ამისა, გაუმჯობესდა თანდართული განმარტებები. და ბოლოს შესწორებები უზრუნველყოფს, რომ არსებითის განმარტება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშგვალდებული საწარმოს შესახებ.

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39- ში და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** შესწორებები განპირობებულია საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთები ('IBORs'). შესწორებები ითვალისწინებს დროებით გათავისუფლებას კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომელზეც პირდაპირ ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.

**კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16 (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ).** შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო ქვემოთ მოცემული შესწორებები, რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუალატრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

---

უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

**შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)** შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა:* საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან:* უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- *გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჯა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

**ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. „დაფარვა“ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამოწვევის კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

**ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოცემა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

**შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):**

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვის შემდეგ.

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში , ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმების შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.

- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).** ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენას.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

### 2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ათას ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

### 2.4 სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება: აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად

გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

## 2.5 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარების მომენტში, კომპანია სხვაობას აღიხვავს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება, როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძველით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშება იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

## 2.6 კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად; რეალური ღირებულებით შეფასებულად, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა.

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია, ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა კლასიფიცირდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე, ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულების ცვლილების ასახვით სხვა სრულ შემოსავალში, აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მხოლოდ შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს მოდელი	მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განმარტება	შეფასების კატეგორია
სალარო და ნაშთი ბანკებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზირებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზირებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზირებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ცალკეული პორტფელის დონეზე, ვინაიდან, ამ სახით საუკეთესოდ აისახება კომპანიაში დანერგილი ბიზნესის მართვისა და ინფორმაციის მენეჯმენტისთვის წარდგენის მეთოდები. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგალითად, ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

შეფასება, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს შეფასება მოიცავს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, იმდენად, რომ დაირღვეს შესაბამისობა ამ პირობებთან. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა, ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ სახელშეკრულებო განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირება არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

**2.7 გაუფასურება**

კომპანია აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (იწოდება, როგორც 1-ლი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე (იწოდება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა სესხის არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის გათვალისწინებით დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურად, სესხების ისეთი პორტფელისთვის, რომელთაც ეკონომიკური რისკების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 16-ე შენიშვნაში ფინანსური რისკების მართვაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

## 2.8 საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა, დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი, მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის იდენტიფიცირება და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება, შეიძლება, რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით.

სესხი ითვლება „საკრედიტო რისკით გაუფასურებულად“, როდესაც მსესხებელს ეძლევა შედავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუ კი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შედავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განმარტება იხილეთ 16-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

## 2.9 საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური და აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებულ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის კომპანია სესხის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ყველა ცვლილებას აღიარებს, როგორც გაუფასურების ზარალს ან მოგებას პირდაპირ მოგება - ზარალის ანგარიშგებაში აღიარებით.

## 2.10 საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კომპანია გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ იყენებს იმის დაშვებას, რომ დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ უნდა აღინიშნებოდეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს და აღიარების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია მოცემულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: კომპანიის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის შეფასებასთან დაკავშირებით მოცემულია 16-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

## 2.11 ჩამოწრა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწრა ხდება, როდესაც კომპანიას არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება. ეს, ზოგადად, არის შემთხვევა, როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწრისთვის განკუთვნილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა, კვლავ იყოს კომპანიის აღსრულების პროცედურები საგანი, ასეთი პროცედურების შედეგად მიღებული ამონაგები გამოიწვევს გაუფასურების კორექტირებას/მოგებას.

## 2.12 გაცემული სესხები და მისაღები ანგარიშები.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე, ამორტიზაციის პროცესში.

## 2.13 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულებას. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ფართების კეთილმოწყობა	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	5

**2.14 არამატერიალური აქტივები.**

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 ან 1 წლის გაანგარიშებით.

**2.15 მოგების გადასახადი.**

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც, ასევე, აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მოზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ, რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

**2.16 ანარიცხები**

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

## 2.17 იჯარები

**იჯარების აღრიცხვა კომპანიის, როგორც მოიჯარის მიერ, 2019 წლის 1 იანვრიდან.** კომპანია იჯარით იღებს ოფისებს, ავტომობილებს, ავეჯსა და კომპიუტერულ ტექნიკას ფილიალებისა და სერვის ცენტრებისათვის. იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია კომპანიის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა განაწილებულია ვალდებულების და საპროცენტო ხარჯს შორის. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ზარალს იჯარის პერიოდში მუდმივის პერიოდული საპროცენტო განაკვეთის წარმოებისთვის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ამორტიზირდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში;
- შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს; და
- ჯარიმების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შემენისთვის საჭირო სახსრების სესხად აღებისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები;
- აღდგენის ხარჯები.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არგამოყენების კუთხით. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი).

კომპანიამ გამოიყენა ცვლილებები ფასს 16-ში კოვიდ-19-თან დაკავშირებით მეიჯარეების მიერ მინიჭებულ საიჯარო შეღავათებზე 2020 წლის აპრილიდან - ივნისამდე პერიოდში. ეს შეღავათები აღიარება საიჯარო ვალდებულებაში და ცვლად საიჯარო გადასახადში იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა მათი მინიჭება. თანხა არ იყო არსებითი ფინანსურ ანგარიშგებაში.

**საოპერაციო იჯარების აღრიცხვა კომპანიის, როგორც მეიჯარის მიერ.** როდესაც აქტივები გადაეცემა საოპერაციო იჯარაში, მისაღები იჯარის გადახდები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

## 2.18 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

---

დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

**2.19 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.**

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**2.20 ნასესხები საშუალებები.**

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**2.21 ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.**

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

**2.22 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.**

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის, წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233 (2019 წლის 31 დეკემბრისთვის: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო = 3.2095 ლარი).

**2.23 საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი.**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად, წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსურ ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა.

## **2.24 სხვა მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარება.**

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ისა და ფასდათმობის გარეშე.

## **2.25 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.**

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განხორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

## **2.26 ურთიერთგადაფარვა.**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

## **2.27 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.**

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

## **2.28 მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.**

კომპანია გამოიმუშავეს სხვადასხვა ტიპის მომსახურებაზე საკომისიოს, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა**

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ზუღალატრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად, შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

### **3.1 საპროგნოზო სცენარების დადგენა**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 16-ე შენიშვნაში.

### 3.2 დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 16-ე შენიშვნაში.

### 3.3 ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 16-ე შენიშვნაში.

### 3.4 იჯარები - ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება

კომპანიას არ შეუძლია იჯარაში შემავალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევდა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის ღირებულების მსგავსი ფასის მქონე აქტივის მისაღებად საჭირო თანხების მსგავსი ვადის და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმას, თუ „რისი გადახდა მოუწევდა“ კომპანიის, რაც საჭიროებს შეფასებას ემპირიული განაკვეთების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ან თუ საჭიროა მათი ცვლილება იჯარის პირობების ასახვის მიზნით. კომპანიამ ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი შეაფასა ემპირიული შემავალი ინფორმაციის (საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	3,351	2,003
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,246	1,487
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>5,597</b>	<b>3,490</b>

5. კლიენტებზე გაცემული სესხები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ძირი თანხა	25,835	20,276
დარიცხული პროცენტი	264	167
გაუფასურების რეზერვის ანარიცხები	(353)	(198)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო)</b>	<b>25,746</b>	<b>20,245</b>

უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხები მოცემულია ქვევით:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ოქროთი და ძვირფასეულობით	16,902	11,060
არაუზრუნველყოფილი/საბლანკო	9,197	9,383
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>26,099</b>	<b>20,443</b>

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის კლიენტებზე გაცემული სალომბარდე სესხების ნაწილი 15,006 (14,947 ნეტო) და 4,912 (4,893 ნეტო) შესაბამისად, დაგირავებულია საბანკო სესხის უზრუნველყოფის სახით. დეტალები იხილეთ 10.

სალომბარდე სესხების ფარგლებში უზრუნველყოფაში აღებული ოქროს ღირებულების შესახებ ცხრილი მოცემულია ქვევით. შეფასება განხორციელებულია კომპანიის შიდა მეთოდოლოგიით:

	2020 წლის 31 დეკემბერი
გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება:	
მათ შორის რომელიც მიბარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე	16,121
ბანკისთვის არის გადაცემული	
მათ შორის რომელიც მიბარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე არ	2,138
არის ბანკისთვის გადაცემული და არც ბანკში გადაგირავებული	
<b>ჯამი</b>	<b>18,259</b>

ბანკში მიბარებულ ოქროსთან მიმართებაში, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე, განსაზღვრული შენახვის საფასურის სრულად გადახდამდე ან/და შენახვისთვის გაწეული საზღაურის/ხარჯების ანაზღაურებამდე გამოიყენოს ნივთის დაკავების უფლება და უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2019 წლის 31 დეკემბერი

გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება:	
მათ შორის, ზანკში გადაგირავებული	9,737
მათ შორის, ისეთი, რომელიც არ არის გადაგირავებული	2,959
<b>ჯამი</b>	<b>12,696</b>

საექვო ვალების მოძრაობა შემდეგია:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

საექვო ვალების რეზერვი	ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სულ
<b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>122</b>	<b>46</b>	<b>30</b>	<b>198</b>
საკრედიტო რისკის განაკვეთების ცვლილების ეფექტი	(10)	(17)	11	(16)
ახალგაცემული სესხები	502	-	-	502
გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	(12)	219	-	207
გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(120)	510	390
დაფარული სესხები	(458)	(49)	(1,671)	(2,178)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,423)	(1,423)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	2,673	2,673
<b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>144</b>	<b>79</b>	<b>130</b>	<b>353</b>

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

საექვო ვალების რეზერვი	ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სულ
<b>ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>452</b>	<b>121</b>	<b>146</b>	<b>719</b>
საკრედიტო რისკის განაკვეთების ცვლილების ეფექტი	(389)	(17)	(58)	(464)
ახალგაცემული სესხები	523	-	-	523
გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	(15)	598	-	583
გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(386)	1,176	790
დაფარული სესხები	(449)	(270)	(427)	(1,146)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,830)	(1,830)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	1,023	1,023
<b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>122</b>	<b>46</b>	<b>30</b>	<b>198</b>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

გაცემული სესხები	ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სულ
<b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>19,721</b>	<b>620</b>	<b>102</b>	<b>20,443</b>
ახალგაცემული სესხები	154,602	-	-	154,602
გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	(3,170)	3,170	-	-
გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(1,742)	1,742	-
დაფარული სესხები	(146,679)	(752)	(2,809)	(150,240)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,423)	(1,423)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	2,673	2,673
საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობა	44	-	-	44
<b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>24,518</b>	<b>1,296</b>	<b>285</b>	<b>26,099</b>

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

გაცემული სესხები	ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სულ
<b>ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>19,563</b>	<b>800</b>	<b>199</b>	<b>20,562</b>
ახალგაცემული სესხები	143,196	-	-	143,196
გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	(4,603)	4,603	-	-
გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(2,704)	2,704	-
დაფარული სესხები	(138,507)	(2,079)	(971)	(141,557)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,830)	(1,830)
საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობა	72	-	-	72
<b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის</b>	<b>19,721</b>	<b>620</b>	<b>102</b>	<b>20,443</b>

კომპანიას ბალანსიდან ჩამოწერილი აქვს და გარესაბალანსო ანგარიშებზე აღრიცხავს 5,252 და 6,324 ლარის სესხებს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად. ეს სესხები ექვემდებარება აღსრულების პროცედურებს. ზოგადად, კომპანია სესხების ჩამოწერას ახორციელებს დღიური გადახდის სესხებისთვის 60 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ყველა სხვა სესხისთვის 90 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, თუმცა, ზოგიერთი სესხის ჩამოწერაზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ფართების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>ისტორიული ღირებულება:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76	-	76
შემენა	78	18	96
გასვლა	(16)	(12)	(28)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138	6	144
შემენა	20	-	20
გასვლა	(6)	(6)	(12)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	152	-	152
<b>ცვეთა:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	-	14
პერიოდის ცვეთა	38	2	40
გასულის ცვეთა	(3)	(1)	(4)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49	1	50
პერიოდის ცვეთა	34	1	35
გასულის ცვეთა	(3)	(2)	(5)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	80	-	80
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	62	-	62
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89	5	94
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	72	-	72

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები**

კომპანია იჯარით იღებს ოფისებს, ავტომობილებს, ავეჯსა და კომპიუტერულ ტექნიკას ფილიალებისა და სერვის ცენტრებისათვის. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 1-დან 6 წლამდე ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში.

2018 წლის 31 დეკემბრამდე შენობების იჯარები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარებად. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარები აღიარებულია აქტივებად გამოყენების უფლების ფორმით და შესაბამის ვალდებულებად იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი გახდება გამოსაყენებლად კომპანიის მიერ.

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით, ძირითადი ერთეულების კლასის მიხედვით, იშლება შემდეგნაირად:

	საოფისე და არქივის ფართი	ავტომანქანები	ავეჯი, კომპიუტერული და საცხოვრებელი ტექნიკა, ოფისის აღჭურვილობები	სულ
<b>ისტორიული ღირებულება:</b>				
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,545	3,455	555	7,555
დამატება	718	8	-	726
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,263	3,463	555	8,281
დამატება	408	-	-	408
გასვლა	(860)	-	-	(860)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,811	3,463	555	7,829
<b>ცვეთა:</b>				
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
ცვეთა	1,032	739	118	1,889
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,032	739	118	1,889
ცვეთა	1,082	740	118	1,940
გასულის ცვეთა	(419)	-	-	(419)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,695	1,479	236	3,410
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b>				
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,545	3,455	555	7,555
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,231	2,724	437	6,392
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,116	1,984	319	4,419

საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 675 და 755 ათას ლარს, შესაბამისად.

მოკლევადიან იჯარებთან (შეტანილია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ არის ასახული იჯარებად, შეტანილია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

	2020	2019
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	418	304

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საერთო ფულადი გადინება იჯარებთან დაკავშირებით 2020 და 2019 წლებში შეადგენდა 2,567 და 2,415 ათას ლარს, შესაბამისად. იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	კლიენტების სია	სულ
<b>ისტორიული ღირებულება:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	265	-	265
შემენა	145	108	253
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	410	108	518
გასვლა	-	(108)	(108)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	410	-	410
<b>ამორტიზაცია:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76	-	76
პერიოდის ამორტიზაცია	56	7	63
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	132	7	139
პერიოდის ამორტიზაცია	58	101	159
გასულების ამორტიზაცია	-	(108)	(108)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	190	-	190
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b>			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	189	-	189
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	278	101	379
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	220	-	220

9. სხვა აქტივები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გირაოს რეალიზაციიდან წარმოშობილი დებიტორები	-	2
გადახდილი ავანსები	57	70
საოფისე ინვენტარი	55	27
სხვა აქტივები	130	120
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>242</b>	<b>219</b>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ნასესხები საშუალებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>ვადიანი გრძელვადიანი სესხები</b>		
სესხები ფიზიკური პირებიდან	397	1,332
სესხები იურიდიული პირებიდან	251	232
სესხები კომერციული ბანკებიდან	2,686	2,288
<b>ვადიანი მოკლევადიანი სესხები</b>		
სესხები ფიზიკური პირებიდან	345	745
სესხები იურიდიული პირებიდან	3,087	3,494
სესხები კომერციული ბანკებიდან	12,134	6,335
გადასახდელი პროცენტები	106	59
<b>სულ ნასესხები საშუალებები</b>	<b>19,006</b>	<b>14,485</b>

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სესხების დაფარვის გრაფიკები		
1 წლის განმავლობაში	15,672	10,633
1-იდან 3-წლამდე პერიოდში	1,728	541
3 წლის შემდეგ	1,606	3,311
<b>სულ ნასესხები საშუალებები</b>	<b>19,006</b>	<b>14,485</b>

სესხები ნომინირებულია ქვემოთ მოცემულ ვალუტებში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ლარში	18,649	12,985
აშშ დოლარში	357	1,500
<b>სულ ნასესხები საშუალებები</b>	<b>19,006</b>	<b>14,485</b>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>ლარში</b>		
სესხები კომერციული ბანკებიდან	13%; 16.10 %; 10.8% (2.3 % ს დამატებული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი)	14%, 14.90%, 10.8% (2.3 % ს დამატებული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი)
სესხები ფიზიკური პირებიდან	17.10%	17.10%
სესხები იურიდიული პირებიდან	17.10%, 20.90%	17.10%, 20.90%
<b>აშშ დოლარში</b>		
სესხები ფიზიკური პირებიდან	7.6%	7.6%
სესხები იურიდიული პირებიდან	7.6%	7.6%

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ (3,933 და 2,949) სესხები უზრუნველყოფილი იყო კომპანიის დამფუძნებლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირადი თავდებობებით, მაკონტროლებელი პირის მფლობელობაში არსებული კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ლიბერთი ბანკის“ (3,254) სესხები უზრუნველყოფილი იყო კომპანიის მაკონტროლებელი პირების პირადი თავდებობებით.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას სესხების უზრუნველყოფის მიზნით, ბანკში დაგირავებული აქვს კომპანიის მიერ გაცემული სესხები და ამ სესხების ფარგლებში არსებული გირაოში მიღებული ოქრო და ძვირფასეულობა ბანკისთვის აქვს გადაცემული მიზარების ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიის შიდა მეთოდოლოგიის საფუძველზე შეფასებული უზრუნველყოფაში აღებული ძვირფასეულობის ღირებულების ამსახველი ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

	2020 წლის 31 დეკემბერი
ბანკისთვის გადაცემული ოქრო და ძვირფასეულობა მიზარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე	16,121

ბანკში მიზარებულ ოქროსთან მიმართებაში, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე, განსაზღვრული შენახვის საფასურის სრულად გადახდამდე ან/და შენახვისთვის გაწეული საზღაურის/ხარჯების ანაზღაურებამდე გამოიყენოს ნივთის დაკავების უფლება და უარი თქვას მიზარებული ნივთის დაბრუნებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას სესხების უზრუნველყოფის მიზნით, ბანკებში, სალომბარდე სესხების ფარგლებში, გადაგირავებული აქვს გირაოში მიღებული ოქრო და ძვირფასეულობა და ამ ძვირფასეულობის ფარგლებში კომპანიის მიერ გაცემული სესხები. კომპანიის შიდა მეთოდოლოგიის საფუძველზე შეფასებული უზრუნველყოფაში აღებული ძვირფასეულობის ღირებულების ამსახველი ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

	2019 წლის 31 დეკემბერი
ბანკში გადაგირავებული ოქრო და ძვირფასეულობა	9,737

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის კლიენტებზე გაცემული სალომბარდე სესხების ნაწილი 15,006 (14,947 ნეტო) და 4,912 (4,893 ნეტო) შესაბამისად, დაგირავებულია საბანკო სესხის უზრუნველყოფის სახით.

**საბანკო სესხების ფარგლებში ნაკისრი ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები**

კომპანიის საბანკო სესხების ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ცალკეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, მათ შორის ცალკეული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნების მოთხოვნა. ამ მოთხოვნებთან მიმართებით კომპანიას ქონდა შეუსაბამობა, თუმცა ბანკმა დაადასტურა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული შეუსაბამობა არ გამოიწვევს სესხის დაფარვის თავდაპირველი კონტრაქტუალური გრაფიკის მოდიფიკაციას ან სხვა ნეგატიურ შედეგებს კომპანიისათვის.

ამასთანავე, კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საზოგადოების 1%-ზე მეტის მფლობელ (როგორც არსებულ, ასევე მომავალ) აქციონერთა ხმის უფლებას დაედო შემდეგი შეზღუდვები:

სს „თიბისი ბანკთან“ საზოგადოების საკრედიტო ვალდებულებების და ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე აქციონერები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას:

- ა) საზოგადოების საკუთრებაში არსებული სს „თიბისი ბანკთან“ წარდგენილი ფინანსური საგნის რაიმე ვალდებულებებით/უფლებრივად დატვირთვის შესახებ;
- ბ) საზოგადოების საკუთრებაში არსებული სს „თიბისი ბანკთან“ გირაოს საგნის სახით წარდგენილი მოძრავი ქონების/ფინანსური გირაოს საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად ისეთი განკარგვის შესახებ, რომლის შედეგადაც საზოგადოება დაკარგავს საკუთრების უფლებას მოძრავ ქონებაზე.

**11. სხვა ვალდებულებები**

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საკრედიტო პორტფელის ფარგლებში მიღებული ავანსები	1,048	1,265
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	294	260
საკასო მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ნეტო)	829	362
გადასახდელი დივიდენდები	15	24
სხვა ვალდებულებები	99	92
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>2,285</b>	<b>2,003</b>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**12. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები**

	2020 წელი	2019 წელი
ტრანსპორტის ხარჯები	347	355
კომუნიკაციის ხარჯები	218	166
საგადასახადო და საპენსიო ხარჯები	133	132
კომუნალური ხარჯები	132	119
დაცვის ხარჯები	82	65
საკანცელარიო ხარჯები	81	64
საკონსულტაციო ხარჯები	50	98
რემონტის ხარჯები	39	22
აუდიტორული მომსახურების ხარჯები	35	48
სასამართლოს ხარჯები	23	139
გადახდილი ჯარიმები და საურავები	14	58
რეკლამის ხარჯები	11	49
მივლინების ხარჯები	10	18
საფოსტო ხარჯები	8	19
ქონების დაზღვევის ხარჯები	4	13
სხვა ხარჯები	108	122
<b>სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი</b>	<b>1,295</b>	<b>1,487</b>

**13. სხვა არასაოპერაციო მოგება (ნეტო)**

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავლები/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(2)	2
სხვა შემოსავლები	98	36
<b>სულ სხვა არასაოპერაციო მოგება (ნეტო)</b>	<b>96</b>	<b>38</b>

**14. მოგების გადასახადი**

**(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები**

მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

	2020	2019
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	495	402
გადავადებული გადასახადის ხარჯი (შელავათი)	31	150
<b>სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>526</b>	<b>552</b>

**(ბ) საგადასახადო ხარჯისა და მოგება-ზარალის შეჯერება გამრავლებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე**

კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილის მოგების გადასახადის განაკვეთი 2020 წელს გახლდათ 15% (2019: 15%). მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯების შეჯერება მოცემულია ქვემოთ.

	2020	2019
<b>მოგება (ზარალი) დაბეგრამდე</b>	<b>2,982</b>	<b>3,307</b>
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით განსაზღვრული 15%-იანი განაკვეთით	447	496
საგადასახადო გავლენა არაგამოქვითვად ხარჯებზე	79	56
<b>სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>526</b>	<b>552</b>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**(გ) დროებითი განსხვავებების მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადი**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით, შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	31 დეკემბრისთვის 2020 წ.	მოგება-ზარალზე (დარიცხული)/ დაკრედიტებული	31 დეკემბრისთვის 2019 წ.
<b>გამოქვითვადი/(დაბეგრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა</b>			
ძირითადი საშუალებები	4	18	(14)
არამატერიალური აქტივები	(9)	36	(45)
საექვო ვალების რეზერვი	(105)	(90)	(15)
გაუცემელი ხელფასი	44	5	39
<b>ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება</b>	<b>(66)</b>	<b>(31)</b>	<b>(35)</b>

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	31 დეკემბრისთვის 2019 წ.	მოგება-ზარალზე (დარიცხული)	31 დეკემბრისთვის 2018 წ.
<b>გამოქვითვადი/(დაბეგრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა</b>			
ძირითადი საშუალებები	(14)	(5)	(9)
არამატერიალური აქტივები	(45)	(17)	(28)
საექვო ვალების რეზერვი	(15)	(123)	108
გაუცემელი ხელფასი	39	(5)	44
<b>ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი</b>	<b>(35)</b>	<b>(150)</b>	<b>115</b>

**15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები**

**სამართლებრივი პროცედურები.** პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**ვალდებულება.** იმ იჯარებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ მოხდა გამოყენების უფლებით აქტივის აღიარება, კომპანიას ნაკისრი აქვს ვალდებულება 2021 წელს გადაიხდოს იჯარის თანხა 494 ოდენობით.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებსა და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა, შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები, შესაძლოა, უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე, შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ აღიარებული ანარიცხების გარდა სხვა მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას.

**16. ფინანსური რისკების მართვა**

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცივებლად.

**16.1 საკრედიტო რისკი.**

